თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №14

30 აპრილი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
30 აპრილი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	16:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული სტანდარტების პროექტების განხილვა
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელი ღონიძიებებისა და შედეგების განხილვა
5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგების განხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	მონაწილე
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის	k.panchulidze@eqe.ge	წევრი

	განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	577 27 88 43	
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი
ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი	lelatsiphuria@yahoo.com 599 65 49 80	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866	მონაწილე
თამარ ლორთქიფანიძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საეთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს კოორდინატორი	tata.lortkipanidze@eqe.ge 577 278834	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის (ოქმი №13. 22.03.2012) დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

3. **პროფესიული სტანდარტების პროექტების განხილვა**

<u>რეზიუმე:</u>

ქეთევან ფანჩულიძემ დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა და პროფესიული განათლების ეროვნულ საბჭოს წარედგინა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №84/ნ ბრძანებით. ჩამონათვალს დაემატა 18 ახალი პროფესიული სპეციალიზაცია და განხორციელდა ოთხი სპეციალიზაციის დასახელების კორექტირება **(სრული ნუსხა თან ერთვის - დანართი 1).** სპეციალიზაციების დამატების საფუძველი იყო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დანართი 5-ით განსაზღვრული რეგულირება, რომლის მიხედვითაც პროფესიული სპეციალიზაციის დამატება ჩარჩოში ხდება მას შემდეგ, რაც ავტორიზაციის, აკრედიტაციის ან თვითშეფასების რეჟიმში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან გაიცემა თანხმობა შესაბამისი პროგრამის განხორციელებაზე. პროგრამების პარალელურად ცენტრში წარმოდგენილი იყო პროფესიული სტანდარტების პროექტები, რომლებიც განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე და განხილვები მიმდინარეობდა დარგობრივი კომიტეტების სხდომებზე. ამ ეტაპზე უკვე არსებობს ჩამონათვალში მოცემული პროფესიული სტანდარტების პროექტების სამუშაო ვერსიები.

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

- გააქტიურდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა პროფესიული სტანდარტების პროექტების საბოლოო ვერსიების მომზადების მიმართულებით.
- პროფესიული სტანდარტების პროექტები განთავსდეს ცენტრის ვებ-გვერდზე დაინტერესებული მხარეების გაფართოებული ჩართვის უზრუნველსაყოფად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონიძიებებისა და შედეგების განხილვა

<u>რეზიუმე:</u>

მარინა ჟვანიამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონიძიებების ანგარიში. კერძოდ, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში 2012 წლის მარტსა და მაისში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მხარეების, და თბილისის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 1663 საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ასევე მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტის "პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და პროფესიული სტანდარტები", რომლის ელექტრონული ვერსია დაეგზავნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს და მომხმარებლებს და განთავსდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე შემდეგი ლინკით:

http://eqe.ge/uploads/VocationalEducation/e-bookletonOSandQF4GEO.pdf

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

- სასურველია გაგრძელდეს საინფორმაციო შეხვედრები
- გაგრძელდეს ელექტრონული ბუკლეტის შევსება და პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაციები ცენტრის ვებ-გვერდის საშუალებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და მომხმარებლებს .

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგების განხილვა

<u>რეზიუმე:</u>

ლალი შაიშმელაშვილმა დამსწრეებს გააცნო ინორმაცია, რომ 2012 წლის 16-18 მარტს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და აღიარების სამსახურის კოორდინაციით, ბაკურიანში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის (36 მონაწილე) ჩატარდა ტრენინგი არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებზე. ტრენინგზე განხილულ იქნა.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომენდაციების პროექტი, რომელიც მოიცავდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების ეტაპებს, მასში მონაწილე პირების როლებსა და პასუხისმგებლობებს, პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმებს და მის სამართლებრივ შედეგებს.

მონაწილეები გაეცნენ პროექტს, როლური თამაშის საშუალებით პრაქტიკულად განახორციელეს არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა და გამოავლინეს პრობლემური საკითხები, რაც მოიცავდა თვითშეფასების კითხვარში სწავლის შედეგების განსაზღვრას, შეფასების სისტემას, აღიარების დოკუმენტის ფორმას, გადაწყვეტილების მიღების ვადას, ნაწილობრივი აღიარების პირობებს, ავტომატური აღიარების შესაძლებლობას, საგამოცდო კომისიის ფორმირებას, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. მონაწილეებმა მცირე ჯგუფებში განიხილეს თითოეული პრობლემური საკითხი და აუდიტორიას მათი გადაჭრის საკუთარი ვერსიები წარუდგინეს.

ტრენინგზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონტექსტში განხილულ იქნა სწავლის შედეგები და სტუდენტის შეფასება. მონაწილეებმა პრაქტიკული დავალებების ფარგლებში განსაზღვრეს სწავლის შედეგები და სტუდენტის შეფასების შესაბამისი მეთოდები.

ტრენინგის მეთოდოლოგია ეფუძნებოდა ზრდასრულთა განათლების პრინციპებს, მოიცავდა პრაქტიკული დავალებების შესრულებას, როლურ თამაშს, სიმულაციას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ინდივიდუალურ კითხვას, მინი-ლექციებს. ტრენინგის შედეგად მონაწილეების ჩართულობით მომზადდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომედაციების პროექტში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რისი გათვალისწინებით მომზადდება დოკუმენტის საბოლოო ვერსია **(ტრენინგის სრული ანგარიში ოქმს თან ერთვის - დანართი 2).**

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს მარინა ჟვანიამ და ქეთევან ფანჩულიძემ, მათი ინფორმაციით ტრენინგის

მონაწილეთა უმრავლესობამ (91,7-94,4%%) დადებითად შეაფასა ტრენინგის თემატიკა და ორგანიზება, მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ტრენინგზე გამოყენებულმა ინტერაქტიულმა მეთოდოლოგიამ, რომელიც ყველა მონაწილის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებდა, დიდად შეუწყო ხელი ტრენინგის ნაყოფიერად ჩატარებას; ტრენინგის თემატიკა აქტუალური იყო, მონაწილეებმა საკმაოდ ბევრი და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, რაც მათ მომავალი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში დიდ დახმარებას გაუწევს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომზადდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომედაციების დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რაც უკვე დამტკიცებულ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დებულებასთან ერთად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩაატარონ აღიარების პროცესი.

<u>**დასკვნები და მოქმედებები:**</u>

- გაგრძელდეს არაფორმალური პროფესიული განათლების რეკომენდაციების დოკუმენტზე მუშაობა, გათვალისწინებულ იქნას ტრენინგზე გამოვლენილი პრობლემები. დოკუმენტის შემუშავებაში ჩაერთონ სხვა დაინტერესებული პირებიც;
- იგივე ფოკუს-ჯგუფს ჩაუტარდეს ტრენინგები სტუდენტთა შეფასების სისტემაზე, პროგრამებისა და სილაბუსების განვითარებაზე.

დანართი 1

კორექტირებული პროფესიული სტანდარტები

№	**პროფესიული სპეციალიზაციის ახალი დასახელება**	**პროფესიული სპეციალიზაციის ძველი დასახელება**
1	090551 ექთნის თანაშემწე	ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრია)
2	090651 მასაჟისტი	მასაჟისტი
3	090251 კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსი
4	090351ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწე
5	010451 ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი	ხილ- ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებელი
6	040951 პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	პოლიგრაფისტი
7	050552 ტოპოგრაფი	ტოპოგრაფისტი

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში დამატებული პროფესიული სპეციალიზაციები და სტანდარტების პროექტები

№	**პროფესიული სპეციალიზაცია**	**სტანდარტის პროექტში საფეხურები და კრედიტები**
1	090553 პრაქტიკოსი ბებიაქალი	მეხუთე საფეხური, 120 კრედიტი
2	090552 პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე საფეხური, 150 კრედიტი
3	020363 აგროლოჯისტიკის ოპერატორი	მეოთხე საფეხური, 30 კრედიტი, მეხუთე საფეხური 25 კირედიტი.
4	020558 სომელიე	მესამე საფეხური, 45 კრედიტი

5	020559 სამთო გამყოლი	მესამე და მეოთხე საფეხური, თითოეული, 60 კრედიტი
6	020560 საფეხმავლო გამყოლი	მეხუთე საფეხური, 120 კრედიტი
7	020561 დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი	მესამე საფეხური, 30 კრედიტი
8	040777 მძიმე სამშენებლო ტექნიკის ((ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი	მესამე საფეხური, 60 კრედიტი
9	040860 ლიფტების ელექტრომექანიკოსი	პირველი, მეორე, მესამე საფეხური, 25- 25- 30 კრედიტი
10	080378 სცენის მულტიმედია-დიზაინერი	მეოთხე, მეხუთე საფეხური. თითოეული 90 კრედიტი
11	080379 ბაღის დიზაინერი	მეხუთე საფეხური, 120 კრედიტი
12	080380 ფლორისტული დიზაინის სპეციალისტი	მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხური, შესაბამისად 30 –60 -30 კრედიტი
13	080457 სასცენო ხელოვნების ოსტატი	მეოთხე და მეხუთე საფეხური, 90 -90 კრედიტი
14	040959 სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	მესამე საფეხური, 45 კრედიტი
15	040960 საკერავი მანქანების მექანიკოსი	მესამე საფეხური, 30 კრედიტი
16	040961 საკერავი მანქანების ოპერატორი	მესამე საფეხური, 30 კრედიტი
17	041663 საჰაერო გადამზიდავი	მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურები, 20 -30 -30 კრედიტი
18	112155 მეხანძრე-მაშველი	სტანდარტი დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №85/ნ ბრძანებით

დანართი 2

ტრენინგი თემაზე: ”არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება“

ანგარიში

16-18 მარტი, 2012 წელი

ბაკურიანი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახური

აქტივობის დასახელება

ტრენინგი თემაზე: არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

1. *ჩატარების პერიოდი/თარიღი*

15-18 მარტი, 2012 წელი

2. *ჩატარების ადგილი*

დაბა ბაკურიანი, სასტუმრო ”პრემიერ პალასი”

3. *აქტივობის ორგანიზატორი/ფასილიტატორი დაწესებულება/პირი*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

4. *მხარდამჭერი დაწესებულებები/პირები*

UNDP-ს ფინანსური მხარდაჭერა

5. *მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი კერძო და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები

6. *აქტივობის მიზანი*

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომენდაციების პროექტის განხილვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად, მასში შესატანი ცვლილებებისა ან/და დამატებების მომზადება და გათვალისწინება რეკომენდაციების საბოლოო დოკუმენტში.

7. *აქტივობის შედეგი/შედეგები*

ტრენინგის შედეგად მონაწილეები მოამზადებენ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომედაციების პროექტში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს, ხელს შეუწყობენ დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავებას.

მონაწილეები გააცნობიერებენ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის ეტაპებს, მასში მონაწილე პირთა როლებსა და პასუხისმგებლობებს, პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმებს და მის სამართლებრივ შედეგებს.

პრაქტიკული მაგალითების საშუალებით მონაწილეები შეძლებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრას, შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. მონაწილეთა დასწრება

36 მონაწილე (დანართი - სია და დასწრების ფურცლები).

2. აქტივობის ფასილიტატორები/ხელმძღვანელები/ორგანიზატორები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სამმართველოს თანამშრომლები (დანართი - სია).

3. აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მონაწილეები გაეცნენ პროექტს, როლური თამაშის საშუალებით პრაქტიკულად განახორციელეს არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა და გამოავლინეს პრობლემური საკითხები, რაც მოიცავდა თვითშეფასების კითხვარში სწავლის შედეგების განსაზღვრას, შეფასების სისტემას, აღიარების დოკუმენტის ფორმას, გადაწყვეტილების მიღების ვადას, ნაწილობრივი აღიარების პირობებს, ავტომატური აღიარების შესაძლებლობას, საგამოცდო კომისიის ფორმირებას, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. მონაწილეებმა მცირე ჯგუფებში განიხილეს თითოეული პრობლემური საკითხი და აუდიტორიას მათი გადაჭრის საკუთარი ვერსიები წარუდგინეს.

ტრენინგზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონტექსტში განხილულ იქნა სწავლის შედეგები და სტუდენტის შეფასება. მონაწილეებმა პრაქტიკული დავალებების ფარგლებში განსაზღვრეს სწავლის შედეგები და სტუდენტის შეფასების შესაბამისი მეთოდები.

ტრენინგის მეთოდოლოგია ეფუძნებოდა ზრდასრულთა განათლების პრინციპებს, მოიცავდა პრაქტიკული დავალებების შესრულებას, როლურ თამაშს, სიმულაციას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ინდივიდუალურ კითხვას, მინი-ლექციებს.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი (გაზომვის ინსტრუმენტების მითითებით)

ტრენინგზე მონაწილეების აქტიური ჩართულობით გამოიკვეთა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომენდაციის პროექტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროება და ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით განხილვას.

ტრენინგის მონაწილეებმა საფუძვლიანად გააცნობიერეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა, პრაქტიკულად გაიარეს ყველა ეტაპი, განსაზღვრეს თვითშეფასების კითხვარში შესატანი სწავლის შედეგების მახასიათებლები, როლური თამაშის საშუალებით გააცნობიერეს პროცესში მონაწილე პირების პასუხისმგებლობები და მოსალოდნელი პრობლემები; გააცნობიერეს პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მექანიზმების მნიშვნელობა; განიხილეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სამართლებრივი შედეგები.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა და ფასილიტატორებმა შეაჯამეს ტრენინგის შედეგები. მონაწილეთა თქმით, ტრენინგზე მირებული ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესის სწორად წარმართვაში.

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

ტრენინგის მიზნების მიღწევას ხელი შუწყო მონაწილეთა აქტიურმა მონაწილეობამ პრაქტიკულ სავარჯიშოებში და სიმულაციაში, ასევე საინტერესოდ დაგეგმილმა პროგრამამ და სასიამოვნო გარემომ. ხელისშემშლელი ფაქტორები არც მონაწილეთა და არც ფასილიტატორთა მიერ არ დასახელებულა.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს შესავსებად დაურიგდათ ტრენინგის შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავდა 2 დახურულ და 2 ღია კითხვას. კითხვარი შეავსო 36 - მა მონაწილემ.

ტრენინგის ორგანიზებაზე მონაწილეთა 94.4% (34 მონაწილე) ფიქრობს, რომ ძალიან კარგი იყო, ხოლო 5.6% (2) ფიქრობს, რომ იყო კარგი. დამაკმაყოფილებელად და ცუდად არც ერთ მონაწილეს არ შეუფასებია.

ტრენინგის თემატიკაზე მონაწილეთა 91.7% (33) ფიქრობს, რომ ძალიან კარგი იყო, ხოლო 8.3% (3) ფიქრობს, რომ იყო კარგი. დამაკმაყოფილებელად და ცუდად არც ერთ მონაწილეს არ შეუფასებია.

შეფასების კითხვარში მოცემულ ორ ღია კითხვაზე პასუხის გაცემისას მონაწილეებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხი დაეფიქსირებინათ. ამიტომ პროცენტული მონაცემების ჯამი არ უდრის 100%-ს.

ტრენინგის შეფასების კითხვარში წარმოდგენილ ღია კითხვაზე, თუ განსაკუთრებით რომელ თემას აღნიშნავდნენ, მონაწილეთა უმრავლესობამ (88.8% - 32 მონაწილე) აღნიშნა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება და მასში შემავალი საკითხები, ასევე აღნიშნეს სწავლის შედეგები (22.2% - 8 მონაწილე), შეფასება (22.2% - 8 მონაწილე) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია (16.6% - 6 მონაწილე).

კითხვაში წარმოდგენილ მეორე ღია კითხვაზე - თუ რომელი მიმართულებით ისურვებდნენ ცოდნის გაღრმავებას მომავალში, ტრენინგის მონაწილეებმა შემდეგი მიმართულებები განსაზღვრეს: 1. შეფასების სისტემა; 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია; 3. პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება; 4. ლიბერალური პროფესიული განათლების პრინციპები.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგზე გამოყენებულმა ინტერაქტიულმა მეთოდოლოგიამ, რომელიც ყველა მონაწილის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებდა, დიდად შეუწყო ხელი ტრენინგის ნაყოფიერად ჩატარებას; ტრენინგის თემატიკა აქტუალური იყო, მონაწილეებმა საკმაოდ ბევრი და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, რაც მათ მომავალი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში დიდ დახმარებას გაუწევს.

რეკომენდაციები:

გაგრძელდეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომენდაციების დოკუმენტზე მუშაობა, გათვალისწინებულ იქნას ტრენინგზე გამოვლენილი პრობლემები. დოკუმენტის შემუშავებაში ჩაერთონ სხვა დაინტერესებული პირებიც.

იგივე ფოკუს ჯგუფს ჩაუტარდეს ტრენინები შეფასების სისტემაზე, პროგრამებისა და სილაბუსების განვითარებაზე.

დანართები:

1. მონაწილეთა სია
2. აქტივობის ორგანიზატორთა/ფასილიტატორთა სია
3. დეტალური პროგრამა/განრიგი
4. ტრენინგის შეფასების კითხვარის ფორმა
5. ტრენინგის შეფასების კითხვარის ანალიზი.